ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 790 20-33-05

6 ოქტომბერი 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №96

ინფორმაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით

საკრებულო ადგენს:

1.ინფორმაცია სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სკოლამდელი აღზრდის ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მიღებული იქნას ცნობად.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრარ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში,მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. №4-ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

ინფორმაცია

<u>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ახალი სასწავლო</u>

<u>წლის დაწყებასთან დაკავშირებით</u>

ა.ი.პ სსს დაწესებულება „მომავალი“ ფუნქციონირებს ჩოხატაურის №1 საბავშვო ბაღის,ჩოხატაურის №1 ბაგა-ბაგის, ჩოხატაურის №2 ბაგა-ბაღის, სოფლების - ხიდისთვის,შუა ამაღლების, ქვენობანის,ბუკნარის, ბასილეთის, ერკეთის, ბუკისციხის, იანეულის, ჩაისუბნის, კოხნარის, საჭამიასერისა და გოგოლესუბნის საბავშვო ბაღების ბაზაზე. სულ 15 სტრუქტურული ერთეული.

სკოლამდელი განათლების თემა აქტუალურია. იგი ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას ემსახურება, როგორც ფიზიკური, ისე შემეცნებითი და ესთეტიკური კუთხით. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის შემდგომი განვითარებისათვის. რათა სწორად განუვითარდეს სკოკლამდელი ასაკის პატარას ყველა ის უნარი,რომელიც პირველკლასელს სჭირდება. თუ ბავშვს ადრეულ ასაკში განვითარების უფრო მრავალფეროვანი გარემო აქვს, ის მეტ წარმატებას აღწევს ზრდასრულ ასაკში. ადრეულ ასაკში ბავშვისთვის შექმნილი კარგი გარემო - აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და ა.შ.მას საწავლის შემდგომი პერიოდისთვის ,საერთოდ ცხოვრებისთვის ამზადებს.

2014 წელს ა.ი.პ სსს „მომავალს“ გამოეყო 666.000 ლარი. აქედან 2014 წლის ივლისის თვის ჩათვლით დახარჯულია 387.284 ლარი, მათ შორის ხელფასი - 298.577 ლარი, ხარჯები შეადგენს - 87.907 ლარს .კვება - 50,004 ლარი.

ა.ი.პ სსს „მომავალს ჰყავს 134 თნამშრომელი. მათ შორის ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს 2 თანამშრომელი - მძღოლი და ტექნიკური მუშაკი.

- მომავალი სასწავლო წლისათვის გაიხსნება ზოტის საბავშვო ბაღი.ახალი ჯგუფის შექმნის საწიროება იქნება კოხნარის,ბუკნარის, შუა-ამაღლების ბაღებში.
- მუნიციპალიტეტის გამგეობის დაკვეთით სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს დაბის №1 და №2 ბაგა-ბაღებში,ასევე სოფელ იანეულის ბაგა-ბაღში. სავარაუდოდ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი აღნიშნულ ბაღებში დაიწყება 1 ოქტომბრიდან.
- არცერთი ბაღი არ არის უზრუნველყოფილი ახალი სათამაშოებით და გასართობი საშუალებებით. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა დაბისა და შუა ამაღლების ახლად გახსნილ საბავშვო ბაღებში.
- არცერთ საბავშვო ბაღში არ არის შემოწმებული სასმელი წყლის ვარგისიანობა.
- სურსათის უვნებლობის ინსპექციის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებები,რომელიც ყველა ბაღს შეეხება, სამზარეულო და სასაწყობე ფართის სარემონტო სამუშაოებს,მათ აღჭურვას

საკმარისი რაოდენობის ხელსაბანი ნიჟარებით, რათა იქნას შესაძლებლობა სრულყოფილი რეცხვა - დეზინფექცირების.

- ტუალეტები არ იძლევა რეცხვა - დეზინფექცირების საშუალებას. ასევე არ არის ხელსაბანები აღჭურვილი შესაბამისი ჰიგიენური საშუალებებით.
- სამზარეულოს ბლოკში აუცილებელია მექანიკური ვენტილაციის (გამწოვის) დაყენება.
- გასანათებელი საშუალებები უნდა დაიფაროს დამცავი საშუალებებით (პლაფონებით).
- საბავშვო ბაღებში ყველა უბანზე დასუფთავებისა დეზიფიცირების ყოველი პროცედურა უნდა იყოს აღრიცხული თარიღის მითითებით.
- სამზარეულოში უნდა მოეწყოს დეზობარიერი.
- სამზარეულოს დაგებული უნდა იყოს ერთგვაროვნად და იძლეოდეს სრულყოფილად რეცხვა დეზინფექცირების საშუალებას .
- დაწესებულების კარები არ იძლევა რეცხვა- დეზიფენქცირების საშუალებას.
- სამზარეულოს გარეთ გამავალი ფანჯრები არ არის დაფარული მწერებისგან დამცავი, ადვილად გასაწმენდი ბანდით. ასევე მაგიდების ზედაპირი უნდა იძლეოდეს ადვილად რეცხვა/დეზინფიცირების საშუალებას.
- სადილის მოსამზადებელი ქვაბების ნაწილი დამზადებულია ისეთი მასალისგან (ალუმინისგან),რომელიც მინიმუმამდე არ ამცირებს დაბინძურების რისკს.
- დასალაგებელი ინვენტარისთვის, სარეცხი და სადეზიფექციო, სადერატიზაციო საშუალებებისათვის არ არის იზოლირებული კარადა.
- მენეჯერები არ აღიცხავს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობას.მოსამსახურე პერსონალს არ აქვთ გავლილი შესაბამისი სწავლება სურსათის ჰიგიენის საკითხებთნ დაკავშირებით.
- რაც მთვარია მენეჯერმა ვერ წარმოადგინა სასმელი წყლის ხარისხის დამადასტურებელი საბუთი.
- სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში მიიღებიან აღსაზრდელები, რომელთა ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა შეესაბამება დაწესებულებაში აღზრდა-განვითარებისათვის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

დაწესებულებაში აღსაზრდელთა მიღებისთვის აუცილებელია შემდეგი საბუთების წარდგენა.

ა. აღსაზრდელის მშობლის-მეურვის განცხადება.

ბ. დაბადების მოწმობის ასლი.

გ. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ამ დროისთვის არც ერთი განცხადება არ არის შემოსული საბავშვო ბაღებში.

ა.ი.პ სსს „მომავლის“ წინაშე ბევრი პრობლემა დგას , რა თქმა უნდა ყველა ერთიანად არ გადაწყდება. 2007 წლიდან ყოველ წელს იხარჯებოდა თანხა ბაღებისათვის, მაგრამ არ ჩანს. ამიტომ, უკეთესი იქნებოდა წელიწადში ერთი რომელიმე ბაღი დასრულებულიყო სრულყოფილად. ამ დროისთვის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს დაბის 3 საბავშვო ბაღი. შეიძლება რამდენიმე სოფლისაც.